ოქმი:**ო02.37222101**

თარიღი:**29/07/2022**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 25 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ნ. ქარჩავა, ვლ. ხავთასი, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, გ.შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, შ. თავდიშვილი, გ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალგამყვანი და წყალშემკრები არხების მდგომარეობის შესახებ.

მომხს: ბ. თოიძე

თანამომხს: თ. მურვანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციის შესახებ.

მომხს: ბ.თოიძე.

3. კომისიაში შემოსული კორესპონდენციის შესახებ.

მომხს: ბ.თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, ვრცლად საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა თ. მურვანიძემ.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა შ. თავდიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ სანიაღვრე არხების

მოწესრიგება უმჯობესია განხორციელდეს გზის საფარის რეაბილიტაციამდე.

კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითზე, კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ე. გეგიაძემ.

აღინიშნა, რომ ინვენტარიზაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად და დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოს. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად და გადაწყვეტეს წლის ბოლოს მოისმინონ ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები.

კომისიაში შემოსული ანასეულის დასახლების უნივერსიტეტის ქუჩის N 7 და N 8 ბინების მცხოვრებთა წერილი, კომისიის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ. აღნიშნული წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1და N2 საკითხები მიღებულ იქნას ცნობად, მეორე საკითხზე საბოლოო ინფორმაცია მოსმენილ იქნას წლის ბოლოს.

2. კორესპოდენცია რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი